მე, ვახტანგ წივწივაძე (პ/ნ 65002000082), რომელიც წარმოვადგენ ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა #73-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო #01.12.06.001.063) მესაკუთრეს, თანახმა ვარ, რომ შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა (საიდენტიფიკაციო #201951637), რომელიც არის მომიჯნავედ არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი 01.12.06.001.047) აღნაგობის უფლების მქონე, საკუთარი საქმიანობის ოპტიმიზაციის მიზნით განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:

- ააშენოს საუნივერსიტეტო საქმიანობისთვის აუცილებელი ახალი ობიექტები;
- ჩაატაროს სამეცნიერო-კვლევითი, საინჟინრო-გეოლოგიური და საპროექტო სამუშაოები;
- შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში, შეიტანოს პროექტები ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მისაღებად, გამოითხოვოს პასუხები და განახორციელოს კანონით განსაზღვრული ყველა საჭირო ქმედება, რაც აუცილებელია ზემოთხსენებული სამუშაოების ჩასატარებლად.
- განახორციელოს ახალი მშენებლობის პროექტის შეთანხმება/კორექტირება და სამეზობლო მიჯნის ზონაში მოაწყოს ღიობები.
- შპს „კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი“ უფლებამოსილია იყოლიოს თავისი წარმომადგენელი და გადასცეს მას რწმუნებულება ზემოთხსენებული საქმიანობის განხორციელების მიზნით.

ვახტანგ წივწივაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171343604
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.11.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნანი სიდამონიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593-32-67-97
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	06647206374417

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ჩვიდმეტი წლის თექვსმეტ ნოემბერს მე, ნოტარიუსს ნანი სიდამონიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №27-ში, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა *ვახტანგ წიქვიძემ (დაბ. 27.10.1949წ. პ № 65002000082. მისამართი : თბილისი სკანდელაკის ქ. 8ბ ბ. 39)*_ რომელმაც წარმოადგინა დოკუმენტი ერთ ეგზემპლიარად და მოითხოვა მასზე თავისი ხელისმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. ამის შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე, რომ ნოტარიუსი ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას და პასუხს არ აგებს მის შინაარსზე და მასში მოყვანილ ფაქტებზე. ასევე განვუმარტე სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის მე-2 თავის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტი, რომლითაც ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე დოკუმენტი კანონმდებლობასთან შეუსაბამისობის ან ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო(1 ხელმოწერა).

გადახდილია სანოტარო საზღაური: 2.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლისა , დღგ 0.36 ლარი და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე